ა(ა)იპ „ბათუმის განვითრების ფონდის“
საკონკურსო კომისიის სხდომის
ო ქ მ ი 2-2

ა(ა)იპ „ბათუმის განვითრების ფონდის“ მიერ 2015 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესაბამისად კონკურსის მეშვეობით ძველი ბათუმის ტერიტორიაზე არსებული საცხოვრებელი სახლების სადარბაზო კარების დამზადება, აღდგენა/რესტავრაციასთან დაკავშირებით დიზაინის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და ტექნიკური დავალების დოკუმენტაციის შედგენის შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ საკონკურსო განცხადების (N1534) შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტაციების გახსნა-განხილვასთან დაკავშირებით 2015 წლის 31 მარტს 17:00 სთ-ზე შედგა ა(ა)იპ „ბათუმის განვითრების ფონდის“ საკონკურსო კომისიის სხდომა, საკონკურსო განცხადების განხილვასთან დაკავშირებით.

სხდომას ესწრებოდნენ:

სატენდერო კომისიის და აპარატის წევრები შემდეგი შემადგენლობით:

ა) თავმჯდომარე: ავთანდილ დარჩია;

ბ) წევრი: ელგუჯა ხაზარაძე (მოწვეული);

გ) წევრი: ამირან შაქარაძე;

დ) წევრი: გიორგი კაცაძე;

საკონკურსო კომისიის აპარატი წევრი: ხათუნა გოგუაძე.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. საკითხი – ძველი ბათუმის ტერიტორიაზე არსებული საცხოვრებელი სახლების სადარბაზო კარების დამზადება, აღდგენა/რესტავრაციასთან დაკავშირებით დიზაინის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და ტექნიკური დავალების დოკუმენტაციის შედგენის შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ საკონკურსო განცხადების (N1534) წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვა შერჩევა-შეფასების მიზნით;

განიხილეს: საკონკურსო კომისიის წევრები გაეცნენ საკონკურსო განცხადების (1534) შედეგებს, რომლის თანახმადაც აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობა მიიღო ერთმა პრეტენდენტმა: შპს „ჯარჯი ჯგუფი“ (ს/კ 245556964).

კომისიამ განიხილა პრეტენდენტის (შპს „ჯარჯი ჯგუფი“) შემოთავაზება.

ამასთან წარმოდგენილი იქნა შემდეგი დოკუმენტაცია:

1. ფასების ცხრილი - 9 800 (ცხრა ათასი რვაასი) ლარი;
2. სადარბაზოს კარები დიზაინისა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო - 6 (ექვსი) ესკიზი (ნაცვლად 20 ესკიზისა) საერთო ფასით - 164536,03 (ასამოცდაოთხი ათას ხუთას ოცდათექვსმეტი ლარი 03 თეთრი) ლარი;
3. რეკვიზიტები;

კომისიამ განიხილა პრეტენდენტის შპს „ჯარჯი ჯგუფი“-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია.

კომისიამ იმსჯელა საკონკურსო დოკუმენტაციასთან დაკავშირებით და დაადგინა:

1). რადგან წარმოდგენილი დოკუმენტაცია არის დიდი მოცულობისა და მოითხოვს დეტალურ ანალიზს, ამიტომ საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში შეისწავლოს პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია;

/ავთანდილ დარჩია/

/ელგუჯა ხაზარაძე/

/ამირან შაქარაძე/

/გიორგი კაცაძე/